სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

09 / ივლისი / 2024 წ.

KA080147605174724

№ **1891**

განკარგულება

შპს „რომბის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: შპს „თბილსერვის ჯგუფი“;

ტენდერის ნომერი: NAT230003016;

შესყიდვის ობიექტი: 71300000 - საინჟინრო მომსახურებები;

მიმწოდებელი: შპს „რომბი“ (ს/ნ: 400276045);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 15 მაისს წარმოდგენილ იქნა შპს „თბილსერვის ჯგუფის“ 2024 წლის 15 მაისის № 62-01241362705 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 4099), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „რომბის“ (ს/ნ: 400276045) მიერ NAT230003016 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2023 წლის 10 მარტის №30-122 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის rombigroup1@gmail.com მეშვეობით, 2024 წლის 22 მაისის №1530 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

1.3. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2024 წლის 5 ივლისს სააგენტოს 2024 წლის 1 ივლისის №1983 წერილის პასუხად წარმოადგინა 2024 წლის 5 ივლისის № 62-0124187820 დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის №5585) მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის საფუძვლის არსებობასთან დაკავშირებით.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

2.1. შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2023 წლის 10 მარტის № 30-122 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, გასულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

2.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის თანახმად,

მიმწოდებელმა არასრულად გაწია 2023 წლის 6 დეკემბრის № 62-01233403452 წერილით მოთხოვნილი მომსახურება. კერძოდ, მიმწოდებელმა არ მოამზადა მცირე ზომის შენობის მშენებლობისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია(ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის თანამშრომლებისთვის). მიმწოდებელს ასევე არ მოუმზადებია ადმინისტრაციულ შენობაზე (სახურავზე) მე-5 სართულის დაშენებისათვის (საკონფერენციო სივრცისა და მოსასვენებელი ოთახების მოწყობა) სამშენებლო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, თანდართული საექსპერტო დასკვნით. გარდა ამისა, მიმწოდებელს არ მოუმზადებია დაბა კოჯორში, იუნკერების ქ. №26-ში მარილის შესანახი საწყობის ტერიტორიაზე არსებული ავარიული კედლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, თანდართული საექსპერტო დასკვნით.

3. მიმწოდებლის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2023 წლის 10 მარტს, NAT230003016 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, შპს „თბილსერვის ჯგუფსა“ და შპს „რომბს“ (ს/ნ: 400276045) შორის დაიდო № 30-122 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა გაეწია მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად ოცი სამუშაო დღის ვადაში. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 134 190 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2024 წლის 31 იანვარი.

4.2. მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების აქტების თანახმად, ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2024 წლის 22 აპრილი.

4.3. საქმეში არსებული 2023 წლის 20 ოქტომბრის, ასევე 20 დეკემბრისა და 22 აპრილის ინსპექტირების დასკვნების თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა 81 242,64 ლარის ღირებულების ვალდებულებები.

4.4. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2023 წლის 27 ნოემბრის №62-01233312653 წერილით, მიმწოდებელს აცნობა, რომ ესაჭიროებოდა ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქ. №119/121-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის ეზოში არსებული ლითონის შემდუღებელი საამქროს კონსტრუქციის, სენდვიჩ-პანელის მასალით შეფუთვისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. ასევე, ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანზე, სასტუმრო უშბასთან მდებარე, მიწისქვეშა გადასასვლელის სარემონტო საპროექტო, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (თანდართული საექსპერტო დასკვნით).

4.5. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2023 წლის 6 დეკემბრის № 62-01233403452 წერილით, მიმწოდებელს აცნობა, რომ ესაჭიროებოდა ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქ. № 119/121-ში ადმინისტრაციული ტერიტორიის ეზოში სასაწყობე ფართის მშენებლობისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და მცირე ზომის შენობის მშენებლობისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. (ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის თანამშრომლებისათვის), თანდართული საექსპერტო დასკვნით. ასევე, ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილზე №67-ში ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სასაწყობე ფართის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ადმინისტრაციულ შენობაზე (სახურავზე) მე-5 სართულის დაშენებისთვის (საკონფერენციო სივრცისა და მოსასვენებელი ოთახების მოწყობა) სამშენებლო-საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, თანდართული საექსპერტო დასკვნით. ამასთან, დაბა კოჯორში იუნკერების ქ. № 26-ში მარილის შესანახი საწყობის ტერიტორიაზე არსებული ავარიული კედლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო-დოკუმენტაციის მომზადება, თანდართული საექსპერტო დასკვნით.

4.6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად და ვადაგადაცილებით შესრულების გამო, შემსყიდველი ორგანიზაციის 2024 წლის 25 აპრილის № 62-01241162138 წერილით, მიმწოდებელს ეცნობა, მიმწოდებელს ეცნობა პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

4.7. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა 81 242,64 ლარის ღირებულების ვალდებულებები, რაც ხელშეკრულების მოცულობის 61%-ს შედგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „რომბი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა

კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ამასთან, გასულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. აღსანიშნავია, რომ შპს „რომბის“ (ს/ნ: 400276045) შესახებ შავ სიაში იძებნება ოთხი სარეგისტრაციო ჩანაწერი.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინებები აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი, რადგან მიმწოდებელმა არასრულად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევისა და მიმწოდებლის მანამდე არსებული შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტების გათვალისწინებით, შპს „რომბი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „რომბი“ (ს/ნ: 400276045) 2024 წლის 9 ივლისს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე